

შპს „იბერიის ვარსკვლავის“ დაჯარიმების
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას 11.08.2014 წ. № 01-5703 წერილით მომართა შპს „იბერიის ვარსკვლავი“-ს დირექტორმა დიომიდე ფხაკაძემ, რომელიც ითხოვდა ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი №67/ბ-ში მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის ექსპლუატაციაში მიღებას.

შემოწმებით დადგინდა, რომ მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით, კერძოდ: შენობის პირველი სართულის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს დარღვეულია ფასადი, უნებართვოდ მოწყობილია საჩრდილობელი. არ არის მოწყობილი დამატებითი ორი შესასვლელი კარები. არ არის მოწყობილი სართულს შორის დამაკავშირებელი ექსკალატორი, კონსტრუქციული სქემა პროექტიდან დარღვევითაა ნაწარმოები, დარღვეულია სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე, ნაცვლად 4-მეტრისა რეალურად შეადგენს 3.60მ. არ არის მოწყობილი სატვირთო ლიფტი და ლიფტის ფუნქციონერებისათვის საჭირო შახტა. ამასთან სანიტარული კვანძები და კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულებული არ არის.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „იბერიის ვარსკვლავი“ მის. ჭავჭავაძის № 67/ბ-ში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის“ პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნოდარ მიქიაშვილმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურღულია